

## ISSET-PI - ბიუჯეტის აღსრულების მონიტორი 2015

ISSET-PI იწყებს ახალი პროდუქტის, ბიუჯეტის აღსრულების მონიტორის (BEM) გამოქვეყნებას.

BEM-ის მიზანია მიმდინარე წელს საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების პროგნოზირება გასული წლების სეზონურ მაჩვენებლებსა და მიმდინარე წლის არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

BEM გამოქვეყნდება წელიწადში ორჯერ: პირველად, როცა ხელმისაწვდომი იქნება მონაცემები მიმდინარე წლის პირველი კვარტლის შემოსავლებსა და ხარჯებზე და მეორედ, როცა ხელმისაწვდომი იქნება პირველი სამი კვარტლის მონაცემები. ჩვენ ვიყენებთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა (სფს) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მონაცემებს.

დეტალური ინფორმაცია ინდექსის მეთოდოლოგიის შესახებ იხილეთ ანგარიშის ბოლოს.

### ***BEM პროგნოზების ძირითადი მაჩვენებლები:***

- *BEM-ის მიხედვით, 2015 წელს ნაერთ ბიუჯეტს ექნება საოპერაციო სალდოს<sup>1</sup> პროფიციტი და მთლიანი სალდოს<sup>2</sup> დეფიციტი.*
- *2015 წელს მოსალოდნელია დაგეგმილზე მაღალი საგადასახადო შემოსავლები: BEM-ის მიხედვით, საგადასახადო შემოსავლები 210 მლნ ლარით (2,4%) გადააჭარბებს სფს-ს პროგნოზს და 205 მლნ ლარით (2,3%) – IMF-ის პროგნოზს.*
- *ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში საუკეთესო შედეგები აქვს გადასახადებს შემოსავალზე, მოგებასა და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე, ხოლო ყველაზე ცუდი შედეგები – გადასახადებს საგარეო ვაჭრობასა და საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებზე (საპროგნოზო მაჩვენებლები სფს-ს პროგნოზს 40%-ით ჩამორჩება).*
- *2015 წელს მოსალოდნელია დაგეგმილზე მაღალი ხარჯები: BEM-ის მიხედვით, ხარჯები 479 მლნ. ლარით აღემატება სფს-ს საპროგნოზო მაჩვენებელს (5,4%) და 315 მლნ ლარით (3,2%) ნაკლებია IMF-ის პროგნოზზე.*
- *ძირითადი ცვლილებები ხარჯების ნაწილში გამოწვეულია „სხვა ხარჯების“ მუხლით, რომელიც სფს-ს საპროგნოზო მაჩვენებელს 61%-ით აღემატება. ხარჯების ეს მუხლი მოიცავს საკუთრებასთან დაკავშირებულ ხარჯებს (საპროცენტო ხარჯის გარდა) და სხვა მიმდინარე ან კაპიტალურ ხარჯებს (მაგალითად: საოჯახო მეურნეობებზე ნატურით ან ფულადი სახით გაცემული ტრანსფერები).*

<sup>1</sup> საოპერაციო სალდო მიიღება მთლიანი შემოსავლებიდან კაპიტალის წმინდა ფორმირების გარდა, ყველა სხვა ხარჯის გამოქვითვით. კაპიტალის წმინდა ფორმირება მოიცავს ნებისმიერი სახის ფიზიკური კაპიტალის, მანქანა-დანადგარების, უძრავი ქონებისა და სხვა ხარჯებს.

<sup>2</sup> მთლიანი სალდო მიიღება მთლიანი შემოსავლებიდან მთლიანი ხარჯების გამოკლებით, რაც მოიცავს კაპიტალის წმინდა ფორმირებისთვის გაღებულ ხარჯებსაც.



ცხრილი #1. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების პროგნოზი, მლნ. ლარი, 2015.

|   | სფს          | IMF          | ISET-PI      |
|---|--------------|--------------|--------------|
| <b>შემოსავლები</b>  | <b>8,765</b> | <b>8,770</b> | <b>8,975</b> |
| გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე | 3,142        | 3,142        | 3,311        |
| გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე                             | 4,476        | 4,515        | 4,430        |
| გადასახადები საგარეო ვაჭრობასა და საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებზე    | 114          | 115          | 68           |
| გადასახადები ქონებაზე   | 273          | 258          | 274          |
| სხვა გადასახადები   | 25           |              | 25           |
| სხვა შემოსავლები  | 520          | 530          | 653          |
| გრანტები  | 215          | 210          | 215          |
| <b>ხარჯები</b>  | <b>8,946</b> | <b>9,740</b> | <b>9,425</b> |
| დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება                                    | 1,580        | 1,610        | 1,633        |
| საქონელი და მომსახურება   | 1,120        | 1,200        | 1,160        |
| სუბსიდიები და გრანტები  | 754          | 597          | 742          |
| საოციალური უზრუნველყოფა   | 2,945        | 2,923        | 3,023        |
| სხვა ხარჯები  | 832          | 1,055        | 1,337        |
| პროცენტი  | 375          | 340          | 375          |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება                                     | 1,340        | 2,015        | 1,156        |
| <b>მთლიანი სალდო</b>  | <b>-181</b>  | <b>-970</b>  | <b>-449</b>  |
| საოპერაციო სალდო  | 1,159        | 1,045        | 706          |

## ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების მთავარი სიახლეები:

- სავარაუდოდ, ჯამური შემოსავლები გადააჭარბებს წლის დასაწყისში არესებულ საპროგნოზო მაჩვენებელს და ამ მხრივ საუკეთესო შედეგი (აბსოლუტურ სიდიდეებში) ექნება გადასახადებს შემოსავალზე, მოგებასა და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე, ხოლო ყველაზე ცუდ შედეგს, სავარაუდოდ, აჩვენებს გადასახადები საგარეო ვაჭრობაზე და საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებზე (სფს-ს პროგნოზზე 40%-ით ნაკლები).
- მოსალოდნელია ხარჯების ზრდაც, რაც ძირითადად გამოწვეულია „სხვა ხარჯების“ საპროგნოზო მაჩვენებელზე 61%-ით გადაჭარბებით. ხარჯების ეს მუხლი მოიცავს საკუთრებასთან დაკავშირებულ ხარჯს (გარდა საპროცენტო ხარჯისა), სხვა მიმდინარე ან კაპიტალურ ხარჯებს, ისეთს, როგორცაა, მაგალითად, საოჯახო მეურნეობებზე ნატურით ან ფულადი ფორმით გაცემული ტრანსფერები.
- მე-3 კვარტლის ბოლოს ბიუჯეტში მობილიზებულია წლიური საპროგნოზო შემოსავლების 72% და ათვისებულია საპროგნოზო ხარჯების 70%.

## შემოსავლები

პროგნოზი შემოსავლების შვიდი მუხლიდან ექვსისათვის ოპტიმისტურია. გადასახადები ქონებაზე და სხვა გადასახადები, სავარაუდოდ, სფს-ს საპროგნოზო მაჩვენებელს 1 მლნ. ლარის სიზუსტით მიაღწევს, მაშინ, როცა შემოსავლების სუსტი რგოლი, გადასახადები საგარეო ვაჭრობასა და საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებზე სფს-ს პროგნოზს 46 მლნ. ლარით ჩამორჩება და თავისი საპროგნოზო მაჩვენებლის მხოლოდ 59%-ს ასრულებს. დამამიძებელია პირდაპირი გადასახადების მობილიზების დინამიკა. მაგალითად: აბსოლუტურ სიდიდეებში, შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე მობილიზებული გადასახადები, სავარაუდოდ, სფს-ს გეგმას 169 მლნ. ლარით (5%) გადააჭარბებს, ხოლო შეფარდებით სიდიდეებში საუკეთესო მაჩვენებელი ექნება სხვა შემოსავლებს, რომლებიც 26%-ით მეტ (133 მლნ. ლარი) საგადასახადო შემოსავალს აკრებს, ვიდრე ამას სფს იმედოვნებს. BEM-ის საპროგნოზო მაჩვენებლები გრანტების მუხლში დაფიქსირებულია სფს-ს გეგმის მიხედვით, ხოლო მთლიანი შემოსავლები სფს-ს პროგნოზს, სავარაუდოდ, 2,4%-ით გადააჭარბებს.

## ხარჯები

პროგნოზს ხარჯების ამა თუ იმ მუხლისთვის განსხვავებული ხასიათის შედეგი აქვს. სფს-ს საპროგნოზო მაჩვენებლებთან შედარებით, რვიდან ოთხ მუხლში მოსალოდნელია გეგმიურზე მეტი ხარჯი, ხოლო სამში – გეგმის არასრულად ათვისება. სამ მუხლში მოსალოდნელი გადახარჯვა საპროგნოზო სიდიდიდან 3%-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო მეოთხე მუხლი, სხვა ხარჯები, სავარაუდოდ, სფს-ს გეგმას 61%-ით, ანუ 505 მლნ ლარით გადააჭარბებს. ამავდროულად, მოსალოდნელია, რომ სუბსიდიები მცირედით ჩამორჩება გეგმას, ხოლო არაფინანსური აქტივების ცვლილებასთან დაკავშირებული ხარჯი წინასწარი გეგმის მხოლოდ 86% იქნება და ჯამურ ხარჯებს დაახლოებით 184 მლნ ლარით შეამცირებს. პროცენტის ხარჯის პროგნოზი BEM-ში დაფიქსირებულია სფს-ს მონაცემების მიხედვით, ხოლო მთლიანი ხარჯები სფს-ს საპროგნოზო მაჩვენებელს, სავარაუდოდ, 5,3%-ით გადააჭარბებს.

## ბალანსი

საოპერაციო სალდოს შეფასებისას BEM სფს-სთან შედარებით პესიმისტურია, რადგან ხარჯების მუხლებში მოსალოდნელი გადახარჯვა ვერ კომპენსირდება შემოსავლების გადაჭარბებული მობილიზებით. BEM-ის მიხედვით, საოპერაციო სალდოს პროფიციტი სფს-ს პროგნოზზე 453 მლნ ლარით (39%-ით) ნაკლები იქნება, ხოლო მთლიანი ბალანსის დეფიციტი — 268 მლნ ლარით (148%-ით) მეტი.

## გასული წლების მაჩვენებლები და დანამიკა

